მხოლოდ ერთმა აღამიანმა გაიგო მისი კვნება. ეს იყო — ჯაფარი. ის ხელ ახლათ დაბრუნდა უდაბნოდან. ბევრი ეხე- ტიალა, ბევრი ეძია დიდების გზა და ბოლოს, როდესაც გა- მოელია ძალ-ლონე, ნიჭი და თანაც დარწმუნდა, რომ აღარა- ფრით გამოსადევი აღარ არი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, თავის მოკვლაც კი განიზრახა. მაშინ ის გაემართა თავის, სამ- შობლო ქალაქ „მოსულისკენ“, რომ ერთი კიდევ ენახა მამა, ძმა, გამომშვიდობებოდა მათ.

გზაზედ მან უცებ გაიგო ის უბედურება, რაც ეწია „მო- სულს“ და მის ოჯახს.

ამ ამბავმა თავზარი დასცა ჯაფარს. ის უფრო იტანჯე- ბოდა იმიტომ, რომ გრძნობდა მისმა სურვილმა, დიდებისა და სახელის მოსაპოებლათ, სადამდის მიიყვანა მისი უბედური ქა- ლაქი და მოხუცი მამა. გული ეთუთქებოდა ჯაფარს, რომ ხედავდა ნანგრევებს, სადაც უწინ მამა მისის სასახლე იდგა. მოწყენილი ის დადიოდა ცარიელ ქუჩებში. ამ ხეტიალის დროს კრთ სახლის ბანზე დაინახა წელში მოხრილი მოხუცი. მოხუცს ხელები მუხლებზედ შემოეხვია და სევდიანი ხმით

იძახოდა: „შვილებო, ჩემთ შვილებო!“ აღელვებული ჯაფარი და ცქერდა მოხუცს და მთვარის შუქზედ იცნო მამა. უნდო-და გამოხმაურებოდა, მაგრამ ამ დროს ბანზე გამოჩნდა ახალგაზრდა ქალი, ნურედინის ცოლი. ის მუხლებზედ დაე-შეა მოხუცის წინ, თავი მიადო მას მხარზედ და მოჰყვა მწა-რეთ ქვითინს. მოხუცმა აღერსიანათ გადაუსვა ხელი თავზე და წყნარათ რაღაც უთხრა. ჯაფარმა მხოლოთ უკანასკნელი სიტყვები გაიგო.

— მე კიდევ იმედი მაქვს, რომ შეილი ჩემი ჯაფარი და-ბრუნდება და მაშინ ჩვენ იღარ ვიქნებით მარტონი.

ალფაიმამ, ნურედინის ცოლმა, უნუგეშოთ გაიქნია თავი და უთხრა:

— ჯაფარი ნურედინის ალაგს ვერ დაიჭირს, ის ჩემ-  
თვის უცხოა, მას ვერც ვიცნობ, და არც არის ოჯახისთვის  
და შრომისთვის გამოსაყენი. მას უყვარს მხოლოდ თავის თა-  
ვი და მხოლოდ თავისათვის ეძებს დიდებას.

— გართალი ხარ, ალფაიმა, ნაღვლიანათ უპასუხა მოხუ-  
ცმა—მაგრამ შენ არ იცი მას რა კეთილ-შობილი გული  
ძექს. რომ იცოდეს ჩვენი მდგომარეობა ის ყოველ ლონის-  
ძიებას იხმარებს, რომ გვიშველოს.

— მე ვერ დავივიწყებ, რომ ჯაფარი არის ჩვენი უბე  
დურების მიზეზი. ნურედინს ეხლა არ წაიყვანდენ, რომ ჯა-  
ფარის ჯავრი არა ჰქონდეთ.

ჯაფარმა მეტი ველარ შესძლო. ყოველი სიტუაცია გულში  
დანასავით ესობოდა, ცრემლები აღრჩობდა. მან თმებში  
იტაცა ხელი და გაიქცა. ჯაფარი მხოლოდ მაშინ შეჩერდა  
ქალაქს ომ გაშორდა, იქ მიწაზე დაეცა და მოჰყა მწა-  
რეთ ტირილს. იგი ვევდრებოდა ლმერთს, ომ შეენანიებინა  
მისი ცოდვები, ესწავლებინა კვლავ, როგორ მოქცეულიყო.  
საბრალომ მთელი ღამე გაატარა ლოცვაში და ფიქრში. დი-  
ლით მან იკოდა უკვე რა გზას უნდა დასდგომოდა.

ჯაფარმა ერთი კიდევ გადახედა მშობელ ქალაქს, გა-  
მოემშვერდობა მას და სწრაფლათ გასწია მტრის სატაცტო ქა-  
ლაქში, ხალიფთან, სადაც მისი ძმა ტყველბაში იტანჯებოდა.

## VIII.

ჯაფარმა, როგორც იქნა, მიაღწია მტრის სატახტო ქალაქს. მოაგონდა, როგორ ოდესმე ის შედიოდა ამ ქალაქში გამარჯვებული, ახლა კი მთხოვარათ, ძონძებში გახვეული, მივიდა სასახლესთან და უნდოდა ხალიფის ნახვა. ჯაფარი გააგდეს. მაგრამ ის არ მოშორდა სასახლეს, ელოდა, ეგებ როგორმე დაენახა ხალიფი როდესაც გაშოვიდოდა გასასეირნებლათ. იცადა სამი დღე, მხე სწვავდა, ქარი ცხელ სილას აყრიდა, მაგრამ ის მაინც იდგა და მხოლოდ ცოტა ხნით შორდებოდა სასახლეს, რომ თავის საჩენათ მოწყალება ეთხოვნა.

ბოლოს მან გაიგო დარაჯებისაგან, რომ ხალიფი სანადიროთ წასვლას აპირებდა. გააღეს ალაყაფის კარები და გამოვიდენ მშვენიერ ცხენებზე მჯდომნი მხლებელნი. თვითონ ხალიფი იჯდა საუკეთესო თეთრ ცხენზე და ხელში ეჭირა მიმინი. გამოჩნდა თუ არა იგი, ცყვლა პირები დაეშვენ; ჯაფარმა მუხლი მოიღრიკა და თვალ-ცრემლიანშა ვეღრებით უთხრა:

— მომისმინე, მოწყალე ხალიფო!

მაგრამ ხალიფს მისთვის არ სცალოდა. ის გაშორდა, არც კი შეჩერებულა. დარაჯმა უთხრა ჯაფარს, — მოიცადე, დაბრუნდება ნადირობიდან, მაშინ სთხოვე, რაც გინდა. თუ ნადირობა კარგი იქნა, ის შეგიწყალებს, თუ არა — ნურასფერს ნუ მოკლოდები.

დგას და იცდის ჯაფარი. ის კიდეც ნადირობიდან ბრუნდებიან. დაინახა თუ არა ხალიფის ცხენი, დაეცა შიწაზე და ხმა-მალლა ვეჯრება დაუწყო.

— რა უნდა ამ მთხოვარის?

— დიდებულო მეფევ, უთხრა ჯაფარმა, — მომისმინე თხოვნა შენი მონისა, მისი სიცოცხლე შენ ხელთაა.

— ვინა ხარ?

— მე მოველი შენგან დარბეულ ქალაქ „მოსულიდან“. ტყვეთა გყავს წამოყვანილი ნურელინა, მოჰამედ-ალის შვილი. ის შენ არაფერში გამოგადგება, სუსტი და უძლურია. შეიბრალე მისი საცოდვი მოხუცი ბრმა მამა, გაანთავისუფლენ ნურელინი..

— როგორა ბედავ, რომ ასეთი სისულელობით მაწუხებ, გააწყვეტინა ხალიფმა სიტყვა, — ვინ გაუშვებს ტყვეს? გამომიგ-

ზენოს მოხუცმა შენზე ჭკვიანი მოციქული, ბლობა გამოსას-  
ყიდი ფული და მე მაშინ დაუგდებ ყურს მის თხოვნას.

და ის იყო უნდა მოშორებოდა, მაგრამ ჯაფარმა საკო-  
დავი ხმით შესძახა:

— მომისმინე, მეფევ, მოხუცი მოპამედ-ალი გაღატაკე-  
ბულია შენი შემოსეული ჯარით, რა უნდა მოგცეს გამოსახ-  
სნელი, ფულის მაგივრათ მე მოველ, მისი მეორე შვილი,  
ჯაფარი.

— ჯაფარი, შესძახა ხალიფმა,— ჯაფარი მამიჩემის მო-  
სიხლე მტერი, ო, ნეტავი ერთი ჩავიგდო იგი ხელში, მეფურ სი-  
ტყვას გაძლევ, ერთ წამსაც არ დაფიქრდებოდი ისე მოგცემ-  
დი რომელ ტავესაც მოინდომებდი.

— გეფიცებით ჯაფარი იქნება თქვენ ხელში იმავე დღეს,  
რა დღესაც გაანთავისუფლებ ნურედინს, უთხრა ჯაფარმა.

— ჯერ მომიყვანე ჯაფარი, და მერე დაგიჯერებ.

რამოდენიმე წუთი ჯაფარი ყოყმანობდა, მერე, წელ-  
ში გაიმართა, თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:

— ჯაფარი შენ წინა დგას.

ხალხი განციფრებული გარს შემოერტყა მას.

ხალიფი დიდხანს აკვირდებოდა ამ გამხდარ, დაქანცულ  
მთხოვარს და ცდილობდა ეცნო თავისი სახელოვანი მტერი.

— როგორ გავიგო სიმართლე, რომ ეს არის ჯაფარი?  
თითქოს ჰელიკონი მეფე და თვალს არ აშორებდა ჯა-  
ფარს.

— თუ მართლა შენა ხარ, გულადი კაცი ჰელიკონი, თქვა  
ბოლოს ხალიფმა,— რას იტყვი, რომ ვუბრძანო ჩემს  
მხლებელებს, რომ ახლავე სარზე ჩამოგაცვან და არც შენი  
ძმა გავანთავისუფლო, ჰელიკონი ხალიფმა და ჩაიცინა.

— შენ ხელთა ვარ, დიდებულო მეფევ, უპასუხა ჯაფარ-  
მა,— თუმცა შენთან მოველ, როგორც მტერი კი არა, არა-  
მედ, როგორც უიარალო მგზავრი. მაგრამ, როგორც ინგბოთ,  
ისე მოიქეცით. ხოლო ჩემი ძმა გაანთავისუფლე, ის ხომ  
უდანაშაულია, შეიბრალე იგი. მე გითხარი ვინცა ვარ, იმ  
უმედით, რომ შენ შეიბრალებდი ჩემს ძმას.

ჯაფარის გამბედაობამ და თავგანწირულობამ გააკვირვა

ხალიფი. ის ერთ წამს ჩაფიქრდა, მერმე თავი მაღლა აიღო და თქვა:

— კარგი, ვნახოთ. ჯერ კი — წაიყვანეთ, დაატუსალეთ, მიუბრუნდა ის მოსამსახურეებს და შევიდა სასახლეში.

ჯაფარი შებოჭეს და საპყრობილეში წაიყვანეს.

### IX.

ხალიფი უნდა დარწმუნებულიყო ნათქვამი მართალია თუ არა და უბრძანა შეეყარათ ერთად ორივენი. ძმებმა რომ დაიანხეს ერთმანეთი ტირილით ჩაეკრენ გულში.

— ჯაფარ, ჯაფარ, შენ აქა ხარ? მწუხარებით ეუბნებოდა ნურედი.

ჯაფარმა ძმას მართალი არ უთხრა, მხოლოდ ის კი წაამოიძახა.

— მამა ჩემი და შენი ცოლი ძლიერ დარდობენ უშენოთ.

ხალიფმა იმავე დღეს გაანთავისუფლა ნურედინი. ნურე დინმა არ იცოდა, როგორ აეხსნა ხალიფის წყალობა. როდესაც ქუჩაში გამოვიდა მოწყალების სათხოვნელათ, მხოლოდ მაშინ გაიგო ძმას რა ძვირათ დაუჯდა ამის განთავისუფლება.

ნურედინი ტიროდა და გოდებდა. ის გაიქცა საპყრობილეს უმფროსთან და ეველრებოდა ხალიფს სიტყვა შეაცვლეინეთო. მაგრამ ამაზე უპასუხეს, რომ ხალიფმა აასრულა მხოლოთ ის სიტყვა, რომელიც თავის მამას მისცა სიკვდილის წინეთ. მაგრამ ხალიფი არ დასჯის ჯაფარს სიკვდილით, თუ ის არ გაიქცევა, უმფროსს შეებრალა ნურედინი და მისცა ნება გამომშვიდებოდა ძმას. ნურედინი მწარეთ ტიროდა, ჯაფარი კი დამშვიდებული იყო.

— წადი, ჩემო ძმაო, უთხარი მამას, რომ ალაპმა ჩამაგონა ასე მოვქცეულიყავ. მე სრული ბედნიერი ვიქნები მხოლოდ მაშინ, როდესაც შენ დაბრუნდები სახლში და ანუ-გეშებ მამას და ოჯახს.

ძმები გადაეხვივნენ ერთმანეთს და განშორდნენ.

### X.

ნურედინი დაბრუნდა თავისიანებში. დაღალულშა, ღონე მიხდილმა ძლივს მიაღწია ბაზრამდის და აქ დაეცა. ყველამ

იცნეს ნურედინი. გაიქცენ ეხარებინათ მოპამედ-ალისათვის. ამ დროს მოხუცი ქუჩა-ქუჩა დალიოდა და მოწყალებას თხოულობდა. მას ახლდა ალფაიმა. მოხუცი ჩქარობდა ენახა შეილი. და ძლივს ეწეოდა ალფაიმას, რომელიც მიეშურებოდა ქმრის სანახავათ. ჯაფარის ამბავი რიც გაიგო, მოხუცმა აღაპყრა ხელები ზეცისკენ და მადლობა შესწირა, უფალს.

— შეილო ჩემო, ჩემო ჯაფარ, ნეტავი ერთი შემეძლოს გულში ჩაგიკრა. მხოლოდ ეხლა მიაღწიე შენ ნამდვილ დიდებას და უკვდაებას: შენ შენი თავი შესწირე სხვის ბედნიერებას.

დაბრუნდა ტყვეობიდან ჯაფარი თუ იქვე საპყრობილე ში მოკვდა სხვა და სუვა ნაირათ გვიამბობს ხალხი. მისი სახელი კი ხალხის სსოვნაში არ დაიკარგება, მუდამ იცოცხლებს და დარჩება საუკეთესო მაგალითათ ადამიანის სიყვარულისა და თავგანწირულობასა.

### ა. ფ.

(დასასრული)




## ნავთის წეაროები.



ღმოსავლეთისკენ, იქ სადაც ჩვენ  
კავკასიონის მთებს მთავარი ქედი  
უკავდება, და სადაც ამ ქედის ჩაქა-  
ნებული ცხედარი კასპიის ზღვის  
ზვირთებში შთაინთქმის, იმ ალაგს  
ეწოდება აფშერონის ნახევარ — კუნ-  
ძული. ეს ალაგი მთელ დედამიწის  
ზურგზე განთქმული და გამოჩენი-  
ლია, მაგრამ რითი? აფშერონის ნა-  
ხევარ კუნძულს არა აქვს არც რიო-  
ნის ხეობის შვენიერი და მდიდარი  
ტრაპიკული ბუნება, არც ყაზბეგის

მთების და მის ცამდე ასულ კლდეების უძლეველი მედიოუ-  
რება. პირ იქით აქ საშინელი ხრიოკი და მოტიტელებული  
ბუნებაა. უნაყოფო მოყვითალო — ნაცრის ფერ ნიადაგზე მხო-  
ლოთ აქა-იქ აღმოცენებულან დაბალი, უფერული ბუჩქები  
და თუ სადმე შეხვდებით ხეს და ხეხილს ეგ მხოლოთ ადა-  
მიანის ნახელოვნარია. არ ისმის აქ არც მხიარული ფრინა-  
ველთ ჭიკვიკი, არც ნაკადულთა საამო ჩხრიალი და არც მწერ-  
თა ბზუილი. ზოგჯერ და ისიც იშვიათად წააწყდებით ან  
ხელიკს, ან დამშეულ კალის. ასე სიცოცხლე მოკლებულ  
ბუნებას ზედ გამჟღარებია მარილის ხაშური და ეს უფრო  
აძლიერებს ცუდს შთაბეჭდილებას და გულს უხურავს კაცს.

თუმცა გარენობით ეს ალაგი ასე უვარებისა, მაგრამ  
მის გულში იმდენი აუარებელი სიმდიდრეა ჩამარხული, რომ  
მთელ ქვეყანაზე არა აზგილი არ შეედრება. მოშავო მწვანე  
შადრევანი ზოგჯერ ზევითაც ამოხეთქს და რწყამს მთელ არე-  
მარეს. ამგვარათ მჩქეფარე ნაკადულს ჩვენ ვუწოდებთ ნავთს,  
ეს ის ნავთია, რომელიც მთელ კაცობრიობას აძლევს იაფ



ଫେର ପ୍ରେସ୍ରୋ କେମନିଟେଲ୍ଯୁଙ୍କ ଉପରେ ପାରିବାରିକ ଚାରିଦିନ ଦିନ

და კარგ სანათს და რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ათას ნაირი ორთქლის გემები და მანქანები, რაღაც შეშის და ნახშირის მაგივრათ სათბობათაც ხმარობენ.

კავკასიონის მთების კალთებზე და ხეობებში ძრიელ ბევრს გან არინ დაფანტული ნავთის წყაროები, მაგრამ ვერც ერთი აღვილი დედამიწის ზურგზე ვერ შეედრება ნავთის სიუხვით აფშერონის ნახვაზ კუნძულს, ეს ალავი მდებარეობს ბაქო-დან ჩრდილოეთისკენ 10—12 ვერსის მანძილზე, რომელსაც ბალახანს უწოდებენ. თუმცა ბალახანაში ძველის ძველითვე აგროვებდენ ნავთს, მაგრამ როცა მთავრობამ სრული თავი-სუფლება მიანიჭა ნავთის წარმოებელთ, მაშინ ნავთის წარმოება უმაღლეს წერტილამდე ავიდა და კავკასიის ნავთმა სა-შინელი მეტოქობა გაუწია ევროპის ბაზრებში ამერიკულ ნავთს.

დღეს ბალახანში აუარებელ აღგილზე წარმოებს ნავთის წყარო და ყოველ წლობით ორას-სამას მილიონ ფუთობით აგროვებენ ნავთს. აღვილი წარმოსადგენია, რა საშინელება უნდა მოხდეს ხოლმე ამ არემარებში და რა უბედურება უნდა და-ტრიალდეს თუ ვინიციბაა რომელსამე ნავთის წყაროში ცე-ცხლი ჩავარდა. ერთხელ ამ გვარი უბედურება მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, პიტსბურგში,— ნავთის წყაროებს ცე-ცხლი მოედო...

ამიტომაც ბალახანზე წყაროების ახლო მახლო ცეცხლს თითქმის სულ არ ხმარობენ. მაგრამ ზოგჯერ მოხდება ხოლმე, რომ ცეცხლი გაჩნდება რომელსამე წყაროში. დააცემერდით ამ სურათს, გაჩაღებული ნავთის ჭიაკოკანა მხეს აბნე-ლებს, მართალია ვისაც უყვარს ძრიელი შთაბეჭდილება, იმის-თვის მშვენიერი სანახავია ამოდენი ცეცხლის შადრევანი, მაგ-რამ ბევრი უბედურება მოსდევს ამ ცეცხლს. ცეცხლის ჩაქრო-ბა ყოვლათ შეუძლებელია და ხალხი მხოლოთ იმასდა ცდი-ლობს, რომ ცეცხლი სხვა წყაროებზედაც არ გადავიდეს. რო-ცა ცეცხლ წაკიდებული ნავთის წყარო თავის თავათ ქრება ჯერ მაშინაც საშიშია, რაღაც წყაროს სილრმებში, დედამიწის გულში მაინც ცეცხლი გუგუნებს და აღვილათ შესაძლებე-ლია ხელ ახლად ზევით ამოვარდეს.

ნავთის წყაროები სიღრმით ერთ საუენიდან ვიდრე 40—50 საუენამდე არიან. სადაც შეიგულებენ ნავთს იმ ადგილს უზარმაზარ მათხაბებით — ბურლებით ხვრეტენ მიწას და თუ ბედმა გაულიმათ, მაშინ ამოვარდება ხოლმე უშველებელი შადრევანი ჭრებიანი ნავთისა. ოოცა მათხაბი ნავთამდე ჩაატანს ხოლმე ამ დროს საშინელი ხმაურობა ისმის დედამიწის გულიდან. დახელოვნებული მუშები შეიტყობენ აღრევე და საჩქაროთ მიატოვებენ იმ ადგილს და შორს გარბიან. ამ დროს ერთი კი დაიქუჩებს და უცბათ ამოვარდება ზევით ნავთის შადრევანი, რომელიც სამოც საუენის სიმაღლეზე ისვრის და ისეთი საშინელი ძალით, რომ ათ და ოც ფუთიან რკინის იარაღებს მიწიდან ჩალის მსგავსად ამოაგდებს ხოლმე. შადრევანი თუ პატარაა დღეში სამოც ათასს ფუთს ნავთს იძლევა, ხოლო დიდ შადრევნებთან დღეში ნახევარ მილიონამდე ფუთ ნავთს აგროვებენ.

ნავთის პატრონები ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ეს ძვირფასი საქონელი უბრალოთ არსად დაკარგონ. ამ აზრით ბევრნაირი აუზები და ბაკები იმართება, მაგრამ ზოგჯერ ისე მოულოდნელათ იცის შადრევანმა გაძლიერება, რომ არავითარი ხერხით არც მისი შეყვენება შეიძლება, აღარც მომზადებული აუზები ჰყოფნის და პატრონის თვალ წინ ოხრათ იკარგება დიდ ძალი ნავთი.

ამ მოულოდნელ მოვლენას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ დედა-მიწის გულში ათას ნაირი ოშეივარი (გაზი) გროვდება და როცა იქმდე გაძლიერდება, რომ ველარ თავსდება თავის ალაგსს, ამ დროს გამოსასვლელ ალაგს ექებს და სწორეთ მაშინ მოაწვება საშინელი ძალით ნავთის წყაროს და ადვილად წარმოსადგენია ამოდენა ძალის უნარი.

1873 წელს სრულებით მოულოდნელათ ერთი ისეთი საშინელი შადრევანი ამოხეთქა, რომ განუწყვეტლათ ცაში ისვრიდა აუარებელ ნავთს. შადრევნის პატრონებს მთლად დაეკარგათ დაგორები. განა შესაძლო იყო იმ სივრცის ჭურჭელი ჭქონლა კაცს, რომ ეს ამოდენი აუარებელი ნავთი მოეგროვებინა? შადრევანის შეჩერება და ჩაქოლვა ყოვლათ შეუძლებელი იყო და ამ გვარათ გაოხრდა იმოდენა სიმღიდრე. შადრევანმა მორწყო მის გარშემო მდებარე მინდვრები

და ამოავსო ორმა-ფოსოები. ნავთის ტბებში ნავებით დაცუ-  
რავდენ და ნავთის ნაკალულები ზღვისკენ მიჩხრიალებდენ.  
ამბობენ მაშინ 13 მილიონი ფუთი ნავთი დაიღუპაო.

მეორეჯერ, 1887 წელს, უფრო საკვირველი ამბავი შოხ-  
და: ერთი ისეთი უშველებელი შადრევანი ამოვარდა, რომე-  
ლიც ოთხმოც საუნის სიმაღლეზე ისვრიდა და საათში ორ-  
მოც-ათას ვედრა ნავთს იძლეოდა! არავითარი ხერხით არ  
შეიძლებოდა ამ წარმოუდგენელი ნაკალულის შეჩერება.  
ნავთთან ერთად შადრევანს მრავალი ქვიშა ამოჰქონდა. გა-  
ძლიერებულ ქარს ეს ქვიშა ექვსის ვერსის მანძილზე, ბაქომდე  
მიჰქონდა, სადაც სახლების ბანები, ეზოები და ქუჩები მოკირწყლა.

ახლა ნავთის წყაროების ახლო წინდაწინვე ამზადებენ  
უშველებელ ორმოებს ქვითკირით და ცემენტით ნაშენთ. თი-  
თო ამ გვარ ორმოში ორასი ათასი ფუთი ნავთი თავსდება.  
ამ ორმოებიდან რვა ვერსის მანძილზე ნავთი მილებით ბაქომ-  
დეა გაყვანილი. იქ ნავთს ქარხნები სწმენდენ.

დედამიწის გულიდან ნავთი მოშავო მწვანე კუპრივით  
ამოდის და ჩვენ ლამპრებში რომ ნავთს სანათად ვემარობთ,  
ეგ ქარხნებშია გამოხდილი და დაწმენდილი, როგორც ჭაჭი-  
დან არაყი, ან არაყიდან სპირტი გამოხალოთ, ისე უბრალო  
ნავთის კუპრიდან წმინდა ნავთს ხდიან სანათად. მაგრამ ამ  
ნავთის კუპრიდან მარტო სანათ ნავთს კი არა ჰედიან.

ბუნებით ნავთი, ანუ მიწის კუპრი მოშავო მწვანე ფერი-  
საა და თუ არაფერმა არ დაუშალა თავის თავად ჰაერზე ამო-  
ქრება და მონარჩენი შავათ მაგრდება. ამას ეწოდება ასფალ-  
ტი. ნავთილანვე ბუნება ამზადებს მიწის სანთელს, რომელსაც  
ბაქოში ნევთიგილი ეწოდება.

როცა ნავთის ქარხნებში მოაქვთ ნედლი შეუმუშავებე-  
ლი ნავთი ჯერ მძლავრ გოგირდ-მუავეში აზავებენ და შემ-  
დეგ ათასნაირ მანქანებში სპირტივით ხდიან.

ცეცხლს რომ უძლიერებენ და სიცხე ავა 300 გრადუ-  
სამდენ მაშინ გამოიხდება სანათად სახმარებელი-დაწმენდი-  
ლი ნავთი ანუ კერისინი, რომელსაც ჩვენ ლამპრებში ვემა-  
რობთ. მეტი სიცხე რომ მოვახმაროთ გამოიხდება პარაფინი,  
რომელსაც ვემარობთ იატაკების საწმენდათ. ზოგიერთ პარაფი-

ნიდან მზადდება ვაზელინი. სხვა დანარჩენი მანქანების ბურ-ლებში და ჭახრაკებში წასასმელათ იხმარება ისე, როგორც ჩვენ საპონს ვხმარობთ ურმის ღერძისთვის, ესევე მონარჩენებს შეშის და ნახშირის მაგივრათ ხმარობენ. კავკასიის ნავთს შეუძლიან მთელი ქვეყნის ბაზრები მორწყოს ნავთით, რომ მისი გატანა არ უჯდებოდეს ძვირათ. ამისთვის შემოიღეს მი-ლებით ნავთის გადატანა პირდაპირ ბაქოდან ბათუმამდის და იქიდან გემებით გაიტანენ ხოლმე.

ახლა მოვიხსენიოთ საიდან და როგორ წარმოსდგება ნავთი. ნავთის თვისება და მისი შემადგენი ნაწილები ქიმიურათ ძლიერ კარგათ არის გამოკვლეული, მაგრამ საიდან, როდის, რა მიზეზით და რისგან წარმოსდგა ნავთი ჯერ აქნო-ბამდე მეცნიერებსაც ნამდვილი ვერ შეუტყვიათ. ზოგი მსწა-ვლელი იმ აზრისაა, რომ ძრიელ ძველის-ძველათ, ქვეყნის წარლვნამდე აქ სხვა ზღვა იყო და იმ ზღვის პირზე მრავალი ცხოველი ცხოვრებდა და მცენარე მცენარეობდათ. როცა ათასნაირ გადაბრუნ-გადმობრუნების დროს ეს გვამნი მიწის გულში მოჰყვენ ძრიელმა ცეცხლმა და სიცხემ დამპალ ცხო-ველების და მცენარეების მონარჩენებიდან გამოხადა ნავთის კუპრი. ეს მოსაზრება უფრო იმაზე არის დამყარებული, რომ ნავთის წყაროებში ყოველთვის მოიპოვება მარილი და მარი-ლის წყალი.

უფრო კი იმ აზრისანი არიან, რომ დედა-მიწის გულში მრავალ ლითონთა შორის რკინაც სანთელივით გალხობი-ლიათ და როდესაც წყლის საშინელი ცხელი ორთქლი იმ ნაირ რკინას შეხვდება, რომელსაც ნახშირბადიც ურევია და თუჯი ეწოდება, მაშინ ამ თუჯიდან იხდება ის, რაც ჩვენ ნავთს უწოდებთო.

**ბუნების მეტყველების მოუვარე.**



# ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა

სახურველი ლამპა.



ელექტრონის სინათლე ორნაირი არის. ერთი მოგრკალო და მეორე სახურველი ლამპა. თვით ამგვარი სახელები გვიჩვენებენ მათ შორის რა განსხვავებაც არის. მოგრკალო სინათლეს მივიღებთ ჰაერის შემწეობით ელექტრონის მიღენით ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდის. სახურველი ლამპის ძალას კი მივიღებთ იმ გვარ ელექტრონის მიღენით, რომელიც ძალიან წმინდა მავთულის მინაგვანია და სინათლის ძალის გამტარებელი, თუ ძალიან გავახურებთ.

მოგრკალო სინათლე თვალს სჭრის ადამიანს სითეთრით და მას ხმარობენ ქუჩების გასანათებლათ, დიდრონ დარბაზში საცა ხალხი თავს იყრის. სახურველი ლამპის სინათლეს კი ხმარობენ უბრალო ლამპის მაგივრად და კიდევა სწევს მის მაგივრობას.

ძეელი და ახალი ქვეყნების ელექტრო-ტეხნიკები დიდი ხნის განმავლობაში სცდიდენ მრავალ გვარათ ამ ელექტრონის სინათლის ძალებს. როდესაც თვრამეტ საუკუნის დააწყისში ბევრგან ხმარებაში შემოვიდა მოგრკალო სინათლე და თითქმის განდევნა სრულებით გაზის სინათლე, მაშინ სახურველი ლამპის სინათლის მოწყობა უკან იყო ჩამორჩენილი.

ღიდი ძალა მოუნდათ გამომგონებლებს და სწავლულებს, რომ მოენახათ ისეთი ელექტრონის გამატარებელი ძალა, რომელიც გაუძლებდა გახურვებას, რომ არ დაფშვნილიყო

და არ დაშლილიყო. საქმე ამაში იყო და ეს კი ძნელი მო-  
სახერხებელი აღმოჩნდა. ჯერ დიდი იმედები լქონდათ ლითო-  
ნის მავთულისა, მაგრამ ბევრი გამოცდის შემდეგ დარწმუნ-  
დენ, რომ თუ ლითონს ძალიან გაახურებენ—გადნება.

ფრანგების და რუსების ტეხნიკებმა დაიწყეს გამოცდა.  
ნახშირისაგან გაკეთებულ მავთულებზე, რომლებსაც ჩასდებ-  
დენ ხოლმე უჟაერო მინის ხუფში. ამ გვარი ცდა უფრო  
ხელსაყრელი გამოდგა, მაგრამ მოშზალება ნახშირისაგნ ისე-  
თი წმინდა მავთულისა—ძალიან ძნელი და შეუძლებელი იყო  
და ეს გამოცდებები უფრო მეცნიერებებისთვის გამოდგებოდა  
ხოლმე.

პრაქტიკულათ ელექტრო-ტეხნიკები ხმარობდენ სპი-  
ლენძს, რომლის გაღნობა აგრე რიგათ ადვილი არ იყო.

საქმე ამ მდგომარეობაში იყო, როდესაც ედისონმა 1877  
წ. ხელი მოჰკიდა ამ საქმეს. ისიც ფიქრობდა ჯერ სპილენძი-  
გამოეყენებინა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს შეუძლე-  
ბელია.

რაკი ხმა გავრცელდა, რომ ედისონმა მოჰკიდა ხელი ამ  
საქმეს და ასე თუ ისე დააბოლოვებს კიდეც ამერიკელ მრე-  
წველებმა მაშინვე გამოიღეს დიდი თანხა, შეალგინეს საზოგა-  
დოება, რომ უფრო ადვილათ მოეწყოთ სახურველი ლამპის  
სინათლე. ედისონს გამოცდებებისთვის აძლევდენ დიდ ფულს,  
რადგან ამერიკაში მას დიდი ნდობა და პატივი ჰქონდა.

ამ ნდობამ, ამ ხელის შეწყობამ გამოიწვია მენლო-პარკ-  
ში გაცხარებული მუშაობა.

საქმე იმაში იყო, რომ უნდა აღმოეჩინათ ისეთი ნახში-  
რის მავთული, რომელიც შესძლებდა აეტანა მხურვალება  
და არ დაშლილიყო. გამოსცალეს ყველა საგნები, რომელიც  
კი ნახშირათ გადიქცეოდა: ყაველ გვარი ლითონები, მავთუ-  
ლები, რომელიც ქვის ნახშირის კუპრისა იყო, ხეს წებო და  
თვით მცენარეებიც.

დღე და ღამე გაცხარებული მუშაობა იყო.

ასე გავიდა ერთი წელიწადი, სანამ ედისონმა არ მოი-  
გონა ისეთი სახურველი ლამპა, რომელიც 48 საათის განმავ-  
ლობაში შეუწყვეტლივ ენთო ხოლმე.

ი ეს საქმე, როგორ მოხდა.

აუარებელ გამოცდებებმა ედისონი მიიყვანეს იმ დასკვნამდის, რომ მხოლოთ მცენარეების ღეროები, ბოჩქოები, რომელსაც ნახშირათ აქცევენ, შესძლებენ ისეთ ნაირ გახურვებას, რომ არ დაიშალენ. 1879 წ. ოქტომბერში მან დაიწყო ბაბბის ღეროს, ბოჩქოების, ისეთი გახურვება, რომ ელეკტრონის ძალის მიმცემი გამხდარიყო სახურველი ლამპისათვის.

ამ გვარი მუშაობა ნამდვილი სატანჯელი იყო.

ვერც ედისონს, ვერც მის ამხანაგს ბეშლორს დაავიწყდებათ ის ხუთი დღის თავ-აულებელი მუშაობა, რომელიც შათ დანახშირებულ ბაბბის ღეროსაგან მავთულის გაკეთებას მოაწომეს.

როგორც რომ მოამზადებდენ ამგვარ ღეროდან მავთულს და ცუცხლს მიაკარებდენ, მაშინვე დაიშლებოდა, დაიფრინებოდა. ყოველი ამგვარი დამარცხება ედისონს და მის ამხანაგს აკარგვინებდა რამდენიმე საათის მძიმე მუშაობას.

ბოლოს 18 ოქტომბერს გააკეთეს გრძელი მავთული, მაგრამ მიაკარეს თუ არა ელექტრონის გამატარებელი ძალა მაშინვე დაიფრინდა.

დაღალულნი, დასუსტებულნი და მთლათ დატანჯულნი იდგენ ესენი თავიანთ ლამპასთან, მაგრამ არც ერთ მათგანს ფიქრათ არ მოსვლია ხელი აელო ამ საქმისაგან.

— შენ ხომ არ მომცილდები და ისევ ჩემთან იმუშავებ სახურველ ლამპის გაკეთებაზე? დაეკითხა ედისონი და თან რწმუნებით შესცემოდა თავის ამხანაგს.

— რასაკვირველია, უთხრა ბეშლორმა და საქმე განაგრძეს.

სხვა-და-სხვა ნაირათ სცდიდენ მუშაობას. მაგრამ ვერა ეშველათ რა. იქნება მათ მოთმინებასაც ბოლო მოჰლებოდა, რომ 20 ოქტომბერს, დილა ადრიანათ არ გაეკეთებინათ მათ კარგა მოგრძო ნახშირის მავთული და არ მიემაგრებინათ ელექტრონის ძალის გამატარებელთან. ბეშლორმა დიდი ამბით იიღო ხელში ეს მავთული სახელოსნოში წასაღებათ, მაგრამ ეზოში გავლის დროს, შემოუბერა დიდმა ქარმა და ნახშირის მავთული ერთ წამს დაიშალა.

ამას ვეღარ გაუძლო გაშმაგებულმა ბეშლორმა და ედისონს შესძახა:

— არა, მეტი აღარ შემიძლია... ოთხი დღე და ღამე არც მძინებია და არც მიჭიმია რამე, მეტის ატანა შეუძლებელია, თავს ვანებები. მაგ სახურველი ლამპისა აღარა მჯერა — რა!

ედისონმა გაიგო ეს სიტყვები, მაგრამ თითქოს არაფრათ მიიჩნია და არც სასიამოვნო არა არის რა, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა განვაგრძოთ, სანამ არ გვმართავთ სახურველ ლამპას... ამაში ხომ მეთანხმები, ამხანაგო?

— რა უაგრძართა, ძმაო, შენ დღეს რაღაც ქეიფზე არა ხარ. რასაკვირველია აქ სასიამოვნო არა არის რა, მაგრამ ჩვენ ჩვენი საქმე უნდა განვაგრძოთ, სანამ არ გვმართავთ სახურველ ლამპას... ამაში ხომ მეთანხმები, ამხანაგო?

ბეშლორმა მძიმეთ ამოიოხრა. როგორი კარგი კაცი იქნებოდა, როგორი მეგობარი, რომ ედისონს, თავის მასწავლებელს, არ დასთანხმებოდა.

ხელ ახლათ, თავ აუღებლათ შეუდგენ მუშაობას. მთელი ლაბორატორია დიდი მუჟაითოთ თვალს ადევნებდა ედისონის და მის ამხანაგის მუშაობას. როგორსაც ბოლოს სახურველი ლამპა მზათ იყო, ამ ორ გმირს გარს შემოერტყენ ყველა მუშები, მოსამსახურნი, თანაშემშენი... არას დროს, არც ერთ მოლრუბლულ და ნისლიან დღეში მზეს ისე არ გაუნათებია, როგორც ახლა ანათებდა ახალი გამოგონილი პატარა ლამპა. ამათ მხოლოთ ახლა მოინდომეს დასვენება, დაძინება. მათ ძილის დროს ოცდა ათზე მეტი ტეხნიკი ყურადღებით თვალს ადევნებდენ, რამდენს ხანს გაანათებს ეს საოცარი ლამპა.

ედისონს გაეღვიძა თუ არა, მაშინვე მოიკითხა ლამპა. შევიდა ლაბორატორიაში და ნახა, რომ თურმე 48 საათი შეუწყვეტლივ ენთო. ედისონს ამისი იმედი სრულებითაც არა ჰქონიდა.

შემდეგ ხშირათ იგონებდენ ეს ორი ამხანაგი იმ საშინელ ხუთ დღე და ღამეს, რომელსაც ხუმრობით დაარქვეს: „სახურველი ლამპის საშინელი მშობიერება“.

ლამპა დაიბადა და მას არა ძალა არ გაანადგურებდა.

იმავე წელიწადს ედისონმა დატვირთა ოკეანეს ერთი უდიდესი გემი „კოლუმბია“ 115 ამ გვარი ელექტრონის ლამპით, მეტე თავის ლაბორატორიაში გამართა ელექტრონის სინათლე 700 ამ გვარი ლამპით.

აქციები იმ საზოგადოებისა, რომელიც ეხმარებოდა ფულით ამ სახურველ ლამპებს, პირველათ ლირდა 200 მანეთი. მერე ისე აიწია ფასი, რომ 6000 მანეთათ ჰყიდდენ. ყოველ მხრიდან მოდიოდა აუარებელი ხალხი ამ საოცარი ლამპების სანახავათ. ამერიკელ გაზეთებმა, ედისონის ლამპის შესხებ, უცნაური ამბებით ყველას უურები გაუჭედეს.

მთელმა ამერიკამ და მერე მთელმა ევროპამ ხელ ახლათ დაიწყეს ლაპარაკი ერთ კაცზე, და ეს კაცი იყო — ედისონი. ის კი მყუდროთ იჯდა თავის ლაბორატორიაში და ცდილობდა ეპოვნა ნახშირის მავთულისთვის ახალი მასალა, რაღან მას არ აკამაფილებდა, რომ მხოლოთ 48 საათს შეეძლო ამ ლამპას სინათლის მიცემა. ბევრი დაკვირვების შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ ბამბუს ან ინდოეთის ლერწმის ლეროები ძალიან გამოსადეგი იქნება.

ამ მასალის შემწეობით მოახერხა, რომ ლამპა შეუწყვეტლივ ასი საათის განმავლობაში აძლევდა სინათლეს.

ედისონმა კარგათ იცოდა, რომ ბამბუ სხვა და სხვა ნაირია და უნდა გამოეცადნა, რომელი ამჯობინებდა, ამიტომ მან დედემიწის სხვა და სხვა მხარეს დაგზავნა ხალხი, რომ ყოველ ნაირი ბამბუ ეშოვნათ მისთვის.

1880 წელს მან ჩინეთში და იაპონიაში გაგზავნა ვილიამ მურა, რომელმაც მოუტანა აუარებელი ლერწმის ნიმუშები. მაშინ უფრო დარწმუნდა ედისონი, რომ ყველაზე უკეთესათ გამოლგება ინდოეთის ლერწმის ლეროები. იმ დროს მას ჩაუვარდა ხელში ვიღაცის მოგზაურობის აღწერა, სადაც იყო აღნიშნული, რომ მდინარე ამაზონკის ნაპირებზე არის ზამბუს მშვენიერი ხეობა.

ედისონმა მაშინვე ერთი თავის თანაშემწეთაგანი მაკ-გუვანი გაისტურა იქ, რომ მას უსიკვდილოთ მოენახა ეს ბამბუს ხეობა.

თუმცა წიგნში დაწვრილებით არაფერი არ იყო აწერილი, მაგრამ მაკ-გუვანი უშიშარი და გამბედავი კაცი იყო, აღტაცებით და დიდი იმედებით გაემგზავრა. არ ერიდებოდა ოკენებზე გადასვლ-გადმოსვლას, გაუვალ ტყეებში და თვალ გაუწვდენელ უდაბნოებში გავლას. თავის მოგზაურობის დროს ის მხოლოთ ველურებს ხვდებოდა და გესლიან გველებს და გარეულ მხეცებს ებრძოდა.

მისი თანამგზავრნი შეშინებულნი როვებდენ მას. მასვე  
ტანჯავდა შხამიანი ბუზების კბენა, ის წამ და უწუმ სიკვდი-  
ლის პირათ იღვა. ერთხელ კიდევაც ვეფხს ჩაუვარდა, მეორეთ  
კინალამ მაღრჩობელა გველმა იმსხვერპლა, მაგრამ ყოველთვის  
მარჯვეთ გადურჩებოდა ხოლმე.

ასი დღის განმავლობაში მაკაგუვანს ტანთ არ გაუხდია  
და მხოლოთ ტყის ნაყოფით იკვებებოდა. როდესაც დაბრუნ-  
და სამშობლოში ნამდვილათ ველურს მიეგვანებოდა. სამაგიე-  
როა, მან მოუტანა ედისონს ისეთი ჯიშის ბამბუ, რომელიც  
აქამომდის არავის არ ენახა. ამასთანავე სახელი გაითქვა, რო-  
გორც უშიშარი და გამბედავი მოგზაური.

ედისონი მაინც არ დაკმაყოფილდა და მაშინვე ხელ-ახ-  
ახლათ გაგზავნა გუვანი მხოლოთ სხვა მხარეს. ამ ხელათ  
მგზავრს ცუდათ მოუვიდა საქმე. იგი დაიღუპა.

ვინ იცის ველურებმა ბრძოლაში დასძლიეს. ან იქნება,  
დამპალი ციებით ავათმყოფი, ამხანაგებმა სადმე გზაზე მიატო-  
ვეს! თუ რა დაემართა, — ეს არის გაუვალი ტყის საიდუმლო.  
ამ კაცის, როგორც ბევრი სხვა გამბედავი მოგზაურის კვალი  
დაიკარგა.

ედისონმა მის მაგიურიდ მერე სკოლის მასწავლებელი  
რიკალ ტონი გაგზავნა.

სკოლის მასწავლებელი და სახელ-განთქმული ედისონი  
მეზობლათ ცხოვრობდენ. რიკალტონს თავი მოჰქონდა ამ მე-  
ზობლობით, თუმცა ედისონი მას არც ერთხელ არ გამოლა-  
პარაკებდა. ერთხელ 1888 წ. მან მიიღო ედისონისაგან წე-  
რილი, რომლითაც ის იწვევდა მას თავის ლაბორატორიაში.  
რიკალტონი მაშინვე მივიდა მასთან.

ედისონი გამოეგება და ჰქითხა:

— გიყვართ მოგზაურობა?

რიკალტონისთვის ამაზე უკეთესი სიამოვნება არა იქნე-  
ბოდა რა და მიუგო:

— ძალიან.

— კარგი, მე მჭირდება კაცი ბამბუს საშოვნელათ ჩემ  
სახურველი ლაპისითვის. მცენარეების გარჩევა ხომ იცით?  
გინდათ იკის როთ ეს საქმე?

რიკალტონს შერცხვა, მაშინვე პასუხი ვერ მისცა.

— განა არ გინდათ?

— რიტომ. ძალიანაც მინდა! მოუგო საჩქაროთ რიკალტონშა.

— როდის წახვალთ? ჰქონხა ედისონშა.

რიკალტონი ასე მალე ვერ წავიდოდა, სასწავლებელი უნდა სხვისთვის ჩაებარებინა, ოჯახის საქმეები მოეწყო.

— მე მეგონა ხვალვე წახვიდოდით, უთხრა მან.

ორი კვირის შემდეგ სკოლის მასწავლებელი ძალიან კმა-  
უოფილი და მხიარული გაუდგა გზას, ჯერ ინგლისში წავიდა  
და მერე კუნძულ ცეილონში. აქ მან დაჰყო სამი თვე. დამე-  
ძილი არ ჰქონდა — ებრძოდა გესლიან გველებს და შხამიან  
მწერებს. მეტადრე გაჭირებული ჰქონდა საქმე ინდოეთის წურ-  
ბელასაგან, რომელიც უმოწყალოთ სწორს ხოლმე ადამიანის  
სისხლს.

ცეილონიდან ის გაემართა გიმალაის მთებამდის, ეს ისეთ  
ადგილებში მოგზაურობდა, სადაც აქამდის არც ერთ თეთრ  
კაცს არ გაეჭაჭანებინა. პევრი ვაი-ვაგლახი გადახდა თავს,  
ბევრ საშიშარ ამბავს თავი დაახწია და ბოლოს იაპონიაში  
მივიდა,

რიკალტონს წასვლისას ედისონშა უთხრა:

— თუ თქვენ ისეთ ლერწამს მიშოვით, რომელიც უჯო-  
ბინება ახლანდელს, თქვენი მოგზაურობის მიზანი შესრულე-  
ბული იქნებათ.

რიკალტონმა იპოვა ისეთი ორ გვარი ლერწამი, რომე-  
ლიც სჯობდა ედისონის ყველა წინააღმდეგ ლერწამს — ბამბუს  
და დიდი კმაყოფილი დაბრუნდა.

სწორეთ ერთი წელიწადი მოუნდა ამ მოგზაურობას.  
ედისონის მონდობილობა მშვენივრათ შეასრულა და ყგონა,  
რომ მის მოტანილ ბამბუს დააფასებდენ.

სანამ რიკალტონი ბამბუს ძებნაში იყო, ედისონმა მოა-  
ზადა ისეთი ლითონის მავთული, რომელიც ლერწმის ლერი-  
ზე გამძლე იყო.

რიკალტონი მოგზაურობილან დაბრუნდა თუ არა, მაში-  
ნვე წავიდა ლაბორატორიაში ანგარიშის ჩასაბარებლათ.

ედისონი ამ დროს გზაში შეეფეა.

ის დაფიქტებული მიდიოდა დაზანტულივით ჩამოარ-  
თვა გაწვდენილი ხელი და უხალისოთ ჰქითხა:

— რა ჰქენით, იპოვეთ ბაშბუ?

რიკალტონმა პასუხიც ვერ მოასწრო — ედისონი ისე გაქრა.

მაშინ მიხვდა რიკალტონი, რომ ის იყო ერთი პატარა ბურღლო ედისონის უშველებელ მანქანაში.

მეორე დღეს ედისონმა ყურადღებით მოისმინა რიკალტონის თავგადასავალი, მაგრამ მისი მოტანილი ლერწამი აღარ გამოადგა.

ამ მოგზაურობაზე ედისონმა ცუდ-უბრალოთ დახარჯა 60,000 მანეთი. ედისონს არაფრათ მიაჩნდა არც ფულის ახარჯვა, არც ძალ-ლონისა, როდესაც მიზნის ასსრულებამდის მიღებოდა საქმე.

სახურველი ლამპის გამოგონებამ ედისონს დიდი ფული და დიდი სახელი შესძინა.

პარიზში 1881 წელს ელექტრონის გამოფენაზე ედისონმა მიიღო ხუთი ოქროს მედალი და ერთი საპატიო დიპლომი. ერთმა მისმა მეტოქემ, ინგლისელმა სვანმა, ისიც აკეთებდა სახურველ ლამპებს, შემდეგი ტელეგრამა გაუგზვნა ედისონს:

— თქვენ გერგოთ პირველი ჯილდო. მოგილოცავთ.


ერთი წლის შემდეგ მან გამართა ბროლის სასახლეში, ლონდონში, გამოფენა. და მისმა სახურველ ლამპამ დიდი ყურადღება მიიპყრო. მას აქეთ ყველგან თვით მიყრუებულ ადგილებშიაც შემოიღეს ამ ელექტრონის ლამპების ხმარება.

ის აძლევს სინათლეს ყველა დიდრონ ქალაქებს, სახლებს, ბნელ მაღაროებს და ცივ და ღრმა ზღვებში, ოკეანებში, ჩამსვლელებს უნათებს გზებს.

როდესაც უზარმაზარი გემი დასცურავს და აპობს უშველებელ ოკეანეს, როდესაც მატარებელი მიფრინავს გაქქარებული ბნელ ღვირაბებში ყველგან დარაჯათა დგას ეს ელექტრონის ლამპა. ის როგორც ერთგული მეგობარი ჰევანტავს სიბნელეს, გვინათებს გზას და ყველგან ჰევენს შეიარულობას.

(შემდეგი იქნება)





## შეფეხ მრეკლე და გლეხი.



რო მშვენიერ დღეს მეფე ერეკლე დიდალის ამალით  
გაემგზავრა სანადიროთ. ბევრი სიარულის შემდეგ კვე-  
რნაკის მთაზედ დასხდენ დასასვენებლათ. გაიგო რა მათი  
მოსვლა მახლობელ სოფელში მცხოვრებმა მეტად მღიდარმა  
გლეხმა, ხელად მშვენიერი სადილი მოუმზადა და წაულო. მო-  
შივნული მეფე-ამალი მალე შემოუსხდა სუფრას, გლეხს კი  
უთხრეს სუფრის ბოლოს დამჯდარიყო. წითელმა ღვინომ ყვე-  
ლანი გაამხიარულა. მეფემ ბრძანა: დიდებულო თავად — აზნა-  
ურნო, ყველა თქვენგანმა ლექსი უნდა მითხრას სიმღერითა.

ბევრი აღარ ალოდინეს, ყველამ რიგ-რიგათ წარმოსთქვეს  
ლექსები სიმღერითა.

ბოლოს ჯერი მიღვა გლეხ-კაცხედაც. გლეხმა ერთი.  
ჩაახველა, ხმა ამოიშმინდა და დაიწყო:

„ღმერთმა ხომ იცის, ბატონო,

კვერნაკი ღიღი მთა არის.

სამოცი ნიშა ხარი მყავს,

იმათთან წაბლა სხვა არის.

სამოცი ნიკორა ზაქი,

იმათი დედა სხვა არის.

სამოცი იაბო ცხენი,

საშენებელი სხვა არის.

სამი ათასი ცხვარი მყავს,

მათი ბატკანი სხვა არის.

რითიც რომ კაცი დარჩება,

აზნაურობა რა არის?!

მეფეს ძალიან მოეწონა გლეხის ნათქვამი ლექსი და

უსახრა: „მოდი შვილო ჩემთანა, შენ ყოფილხარ ყველაზე მდიდარი თავადზეც და აზნაურზეცაო“. გულიანათ გადაჰკო-ცნა და გვერდით მოისვა.

## შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ)

პირველი თვის სახლს ატარებს,  
არის ოთხფეხი ცხოველი;  
წყალშიაც ცხოვრობს, ხმელზედაც,  
არაფრისაა მოხოველი.

მეორე — ქვაა მაგარი,  
ფოლადით ცეცხლის მფრქვეველი;  
მთლათ ხის ჭურჭელი, წყლისათვის,  
წინათ ვხმარობდით ყოველი.

## სახუმარო გამოცანა.

(რუსულიდან. მისგანვე).

დამისახელეთ კვირაში ხუთი დღე, მხოლოდ შემდეგი  
სახელები არ ახსენოთ: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი,  
ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა.

## ფრინველების საავადმყოფო.

ერთმა ქალმა, უთუოდ კეთილმა და გულ-შემატკივარმა,  
ნიუ-იორკში ფრინველების საავადმყოფო დაარსა. საავადმყო-  
ფოს გახსნისათანავე ორი დღის განშავლობაში ხუთასზე მეტი  
ავადმყოფი და დავრდომილი ფრინველი იყო დაბინავებული.

ყველა ფრინველს თავ-თავის სუფთა გალია აქვთ და შიგ  
თბილი და რბილი ბუდეები. ყველა ვალიაში მილია გაყვა-  
ნილი რომლის შემწეობით თბილი და ცივი წყალი გამოდის  
და ფრინველებიც როგორი ჰავის წყალია საჭირო და მარგე-  
ზელი ბანაობენ.

უკელა ფრინველებზე მეტად ჩვენი საწყალი პატარა ბელურები ამ საავათმყოფოში იფარავენ თავს. რადგან ისინი აღამიანთან ახლოს სცხოვრობენ და იმათი ნასუფრალით იკვებებიან ყოველგვარი სნეულება სჭირო: ჭლეჭი, დამპალი ციება, კუჭის ავათმყოფობა, ქარები, გულ-ხუთვა, გულის სიგანიერე და სხვა, ავათმყოფები ჯგუფ-ჯგუფათ არიან დაყოფილნი. ყოველ დღე ექიმი და ზედიმხედველი ავალმყოფებს შინჯავენ.

სწამლობენ ისე და იგივე წამლებით, როგორც აღამიას ნებს: დაზელა, ქინაქინა, დასამშვიდებელი წამალი, იოდი, სასაქმებელი ზეთი და სხვა.

### კოლიციელის ძაღლი.

პოლიციელი ბატონი რონქე ვერსალში (კხოვრობდა და თავისი ძალი სახელათ „საყვირე“ განუშორებლივ თან დასდევდა. ერთ დღეს რონქე თავისი ძალლით დუქნების დასათვალიერებლათ წავიდენ, რონქე ფიქრებში გართული თავ-აღებული მიდიოდა და ამ დროს მათ ერთი ინგლისელი უერფეთა. „საყვირეს“ როგორც ეტყობა ეს ინგლისელი არ მოეწონა, ფეხებში მივარდა და შარვალი დაუგლიჯა. რონქემა დიდი ბოდიში მოიხადა, ინგლისელი ამით დაკმაყოფილდა და შეპირდა, რომ საჩივარს არ ასტეხს. მერე ინგლისელმა მძიმეთ თავი დაუკრა და გაშორდა. „საყვირე“ მაინც თავისას არ იშლიდა, პატრონის ბოდიშს ყურადღება არ მიაქცია, გაექანა და თავის შსხვერპლს ეცა. რონქეს კიდევ ბოდიში უნდოდა გაემეორებინა, მაგრამ ამ დროს დაიხედა და უბეში საათი აღარა ჰქონდა. ეხლა კი გამოირკვა, რომ მისი მეგობარი და მორჩილი ძალი ასე უზრდელათ რად იქცეოდა!

ინგლისელს ჯიბეები გაუჩხრიკეს და საათი უპოვნეს.

## ერთი სიტყვის ფასი.

გამოჩენილი ინგლისელი მოთხრობების მწერალი კოპლანგი ყოველ თავის დაწერილ სიტყვას ორ მანეთათ აფასებდა. იმის მოთხრობების გამომცემელს წიგნი ძალიან ძვირათ უჯდებოდა.

ერთხელ ერთმა ხუმარა კაცმა მიჰმართა კიბლინგს და მისწერა, რომ რაღაც ის ღარიბია და მთელი მოთხრობის ფასის გადახდა არ შეუძლია, სთხოვს მარტო ერთი სიტყვა მოსწეროს და თან თრი მანეთი აახლა.

კიბლანგი ძალიან ანგარიშიანი და ზრდილობიანი კაცი იყო, თრი მანეთი დაიტოვა და მოსწერა „გმადლობთ“.

